ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №378348

ნომერი: AR184161

თარიღი : 02.10.2012

გაცემის თარიღი : 05.10.2012

გაცნობის თარიღი : 05.10.2012

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხოშარაულის და ელიავას ქუჩებს ,მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ვახუშტის ხიდს შორის(ნაკვ. 10/22);

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ანდრიაძე პ/ნ 01024010008
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 29/31/33 ბ. 34

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს :.საქართველოს მთავრობის 2009 წლის24 მარტის დადგენილება N 57 «მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ» მუხლი 66. I კლასისშენობა-ნაგებობის მშენებლობა 1. პუნქტისშესაბამისად –I კლასისშენობა-ნაგებობების I კლასს განეკუთვნება: (12.08.2011 N 135) დ) შენობა-ნაგებობა, რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლები ან ტოლია 5 მ-ისა და არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა (გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა).–პუნქტი 3. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული, ხოლო ქ. თბილისში – ქ. თბილისის მთავრობა, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების ასაშენებლად მშენებლობის ნებართვის საჭიროების თაობაზე, რაც გაიცემა II კლასისმშე-ნებლობებისათვის დადგენილი წესით. (08.10.2011 N 384)საკითხისგანხილვის შედეგად გაცნობებთ რომ, ვინაიდან შენობა უკვე მიღებულია ექსპლუატაციაში და თქვენს მიერ წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათების, ფოტომონტაჟისა და მოცულობითი ვიზუალიზაციის მიხედვით ირკვევა, რომ თქვენს მიერ დაგეგმილია შენობაზე ისეთი სახის რეკონსტრუქციია, რომლის კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე 5 მ-ზე მეტია აღნიშნული სამუშაოების განხორციელება ვერ იქნება მოაზრებული როგორც I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის მონტაჟად , ასევე გაცნობებთ რომ შენობის კლასი განისაზღვრება რეკონსტრუქციის შემდგომ მიღებული კლასის მიხედვით. — აღნიშნულის გათვალისწინებით საკითხი უნდა დააყენოთ პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე– რეკონსტრუქციის კუთხით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.